



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 31

განკარგულება

29/04/2020

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და არასამეწარმეო საერო სკოლა „ოცნებას“ შორის 2011 წლის 18 მაისს გაფორმებული N22 ხელშეკრულებასა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და არასამეწარმეო სკოლა „ოცნებას“ შორის გაფორმებულ 2013 წლის 30 აგვისტოს N15 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№31/1629; 07/04/2020) წერილი, რომელშიც მერი, არასამეწარმეო სკოლა „ოცნების“ დირექტორის განცხადების საფუძველზე, აღნიშნავს, რომ ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მას მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და არასამეწარმეო საერო სკოლა „ოცნებას“ შორის 2011 წლის 18 მაისს გაფორმებულ N22 ხელშეკრულებასა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და არასამეწარმეო სკოლა „ოცნებას“ შორის გაფორმებულ 2013 წლის 30 აგვისტოს N15 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შემდეგი ჩანაწერით: 2020 წლის აპრილის, მაისის და ივნისის საიჯარო ქირის გადახდა გადავადდეს სამთვიანი საშელავათო პერიოდით და თანხის გადანაწილება მოხდეს შემდგომ 6 თვეზე. ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და არასამეწარმეო საერო სკოლა „ოცნებას“ შორის 2011 წლის 18 მაისს გაფორმებული N22 ხელშეკრულებასა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და არასამეწარმეო სკოლა „ოცნებას“ შორის გაფორმებულ 2013 წლის 30 აგვისტოს N15 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახლაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

